**დანართი №19**

## სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა  კვების პროგრამა

## (ქვეპროგრამის კოდი 06 02 22)

ჩვილ ბავშვთა  სოციალური დახმარების  პროგრამა (შემდგომში-პროგრამა) განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველსაყოფად დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფისათვის მატერიალური დახმარება.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები**

გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც არიან:

ა) სოციალურად დაუცველები (65 000 ქულის ჩათვლით);

ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები.

**მუხლი 5.  მოსარგებლის დაფინანსების ორგანიზება**

1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში ბავშვის

უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება წერილობით მიმართავს სამსახურს.

2. პროგრამა ითვალისწინებს ერთ წლამდე ბავშვთა ხელოვნური საკვების დაფინანსებას თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. ადმინისტრაციული დაპირებით სარგებლობის დაწყება ბენეფიციარისათვის შესაძლებელია მერის ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ადმინისტრაციული დაპირების ვადის გაგრძელება (გამოუყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

4.ფარმაცევტული კომპანიის მიერ მიღება-ჩაბარების გადმოგზავნის ვადაა საკვების გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები**

წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება;
ბ) განმცხადებლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
დ) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან/და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარების შესახებ (ფორმა №IV-100/ა), სადაც მითითებული იქნება, რომ ბავშვი საჭიროებს ხელოვნურ კვებას (საკვების მითითებით);
ვ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ.

**მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური შემოსული განცხადებების შემოწმების შემდეგ, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს ადმინისტრაციულ დაპირებას, ხოლო შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის შემდეგ ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
2. განცხადებაში ან დაწესებულებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

## მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება
## და დაფინანსება

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებებისა და დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი

პროგრამაში ჩართული ჩვილ ბავშვთა რაოდენობა.

## მუხლი 10. პროგრამის შედეგი

სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფა.